

საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრს
ქ-ნ თეა წულუკიანს

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის წევრებს

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს
დავით ლორთქიფანიძეს
საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს და
მუზეუმთა ჯგუფის დირექტორს
ნიკა ახალბედაშვილს
გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის
მუზეუმის დირექტორს
ნინო ჭიპაშვილს
ქართული სპორტის მუზეუმის დირექტორს
ნინო სალუქვაძეს
სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორს
ზვიად კვიციანს

მისამართი: ქ. თბილისი, ანტონ ფურცელაძის ქუჩა 3
ელ.ფოსტა: info@museum.ge
kancelaria@museum.ge

ასლი ცნობისთვის: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალურ დირექტორს
ჯაბა სამუშიას

რეკომენდაცია

**განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ
შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული
კანონის მე-20¹ მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“
საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად**

ქალბატონო თეა,

საქართველოს სახალხო დამცველს სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის
შესწავლის მოთხოვნით ე. კ.-მ, დ. ვ.-მ, ნ. ხ.-მ და დ. ნ.-მ მომართეს (N2349/22; N4744/22);

განცხადებები შეეხება 2022 წლის 28 იანვარს, შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევების კონკურსში გამარჯვებული პროექტის „საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის XVIII-XIX საუკუნის ქართული დაზგური პორტრეტული მხატვრობის კოლექციის ინტეგრირებული კვლევის“ დაფინანსებაზე უარის თქმას დირექტორთა საბჭოს მხრიდან, განმცხადებელთა მიერ გამოხატული განსხვავებული შეხედულების გამო. განმცხადებელთა ინტერესებს სახალხო დამცველის აპარატში წარმოადგენს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი - ც. ჯ.

განმცხადებლები ასევე სადავოდ ხდიან კულტურის მინისტრის - თეა წულუკიანის გადაწყვეტილებას რომლითაც მუზეუმში მკვლევრების დაშვება იზღუდება; კერძოდ, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 18 ივნისის N110/5 ბრძანებაში შესული ცვლილებების შესაბამისად, მუზეუმთა გაერთიანებაში შემავალ სამუზეუმო ფონდში კვლევითი საქმიანობით დაინტერესებული ნებისმიერი პირი მხოლოდ დირექტორატის გადაწყვეტილებით დაიშვება. დირექტორატის გადაწყვეტილების შესახებ კი სამინისტროსაც უნდა ეცნობოს.

აღსანიშნავია, რომ საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა¹ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრისგან, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორისგან და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორისგან. თუმცა, საპასუხო კორესპონდენციები სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრისგან და სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატისგან არ მიუღია.

1. ფაქტობრივი გარემოებები

ე. კ., 2021 წლის ივლისში შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მმართველის პოზიციიდან გადაიყვანეს - ლაბორანტის პოზიციაზე, რამდენიმე ხნის შემდეგ კი გაათავისუფლეს სამსახურიდან, რასთან დაკავშირებითაც განმცხადებელს მიმართული აქვს სასამართლოსთვის. სახალხო დამცველის აპარატში განმცხადებელი სადავოდ ხდის შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ გამარჯვებული პროექტის „საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის XVIII-XIX საუკუნის ქართული დაზგური პორტრეტული მხატვრობის კოლექციის ინტეგრირებული კვლევა“-ის დაფინანსებაზე უარის თქმას დირექტორთა საბჭოს

¹ 2022 წლის 1 მარტის წერილი N13-4/2335; 2022 წლის 22 მარტის N13-4/3129 წერილი; 2022 წლის 4 აპრილის N13-4/3568 წერილი; 2022 წლის 29 აპრილის N13-4/4518 წერილი; 2022 წლის 29 აპრილის N13-4/4519 წერილი

მხრიდან და აღნიშნავს, რომ იგი განსხვავებული შეხედულების ნიშნით² დისკრიმინაციის მსხვერპლია, ვინაიდან არაერთხელ გააკრიტიკა საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრი - თეა წულუკიანი და ხელოვნების მუზეუმის ახალი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებები.

დ. ვ., დ. ნ. და ნ. ხ., ასევე გამარჯვებული პროექტის ავტორები არიან. განცხადების თანახმად, **დ. ვ.**³ (თბილისის კოლეჯების აღრიცხვა-დაცვისა და მართვის სექტორის მიმართულების ხელმძღვანელი იყო) ჯერ დააქვეითეს, შემდგომ კი, გაათავისუფლეს სამსახურიდან, **ნ. ხ.**⁴ (ფერწერისა და გრაფიკის ფონდების კურატორი იყო) კი პირდაპირ გაათავისუფლეს სამსახურიდან, ხოლო **დ. ნ.**⁵ (დირექტორის თანაშემწე) მუზეუმში მიმდინარე მოვლენების ფონზე, საკუთარი ნებით დატოვა სამსახური; ნ. ხ. და დ. ვ. დავას სასამართლოში აწარმოებენ მათი შრომითი უფლებების დარღვევის თაობაზე.

განმცხადებელმა - ნ. ხ.-მ 2022 წლის 28 იანვარს სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გამოაქვეყნა პოსტი ფონდის კონკურსში გამარჯვებასთან დაკავშირებით.⁶ ნ. ხ. ასევე მიუთითებს, რომ მან 21 მარტს მიმართა ეროვნული მუზეუმის დირექტორატის წევრს - ნ. ა.-ს ელექტრონული ფოსტით⁷ და აღნიშნა, რომ გამარჯვებულ პროექტთან დაკავშირებით პროცედურულ დარღვევას ადგილი არ ჰქონია; ასევე აღნიშნა, რომ პროექტის მოქნილი გეგმა-გრაფიკი იძლეოდა ადაპტაციის შესაძლებლობას ნებისმიერ სამუშაო პროცესთან და მიეცათ პროექტის განხორციელების ლეგიტიმური შესაძლებლობა. გარდა ამისა, ნ. ხ.-მ და დ. ვ.-მ, 2022 წლის 23 მარტის განცხადებით, ეროვნული მუზეუმის დირექტორატს და სამეცნიერო საბჭოს მიმართეს, ეცნობებინათ მათ პროექტთან დაკავშირებით მიღებული ოფიციალური გადაწყვეტილების შესახებ.

² **შენიშვნა:** განმცხადებელმა წარმოადგინა სხვადასხვა ბმული, რომ ის კრიტიკულ განცხადებებს აკეთებდა იმ პირების მიმართ, რომელთა წინააღმდეგაც წარმოდგენილია განცხადება; ასევე, ბმულები შეეხება 13 გამარჯვებული პროექტის განხორციელებასაც: 2021 წლის 11 დეკემბრის გადაცემა <https://bit.ly/3GYGC0h>; 2021 წლის 25 დეკემბრის აქციის შეჯამება <https://bit.ly/3xpnk1d>; ე. კ.-ს 2022 წლის 16 იანვრის ინტერვიუ <https://bit.ly/3NTOhZq>; 2022 წლის 14 იანვრის სიუჟეტი <https://bit.ly/3Mr0avE>; 2022 წლის 21 იანვრის გადაცემა <https://bit.ly/3NsN7Lg>; 2021 წლის 4 დეკემბრის ე. კ.-ს ინტერვიუ <https://bit.ly/3x8cfAk>; 2022 წლის 21 იანვრის სიუჟეტი <https://bit.ly/3NWwd7J>; 2021 წლის 28 ნოემბრის გადაცემა <https://bit.ly/3zqYGid>; ე. კ.-ს 2022 წლის 19 იანვრის სტატუსი <https://bit.ly/3axbGYR>; 2022 წლის 12 თებერვლის ბრიფინგი <https://bit.ly/3x8cDIK>; 2022 წლის 7 თებერვლის სტატია <https://bit.ly/3Q5fPn9>; 2022 წლის 10 თებერვლის სიუჟეტი <https://bit.ly/3zpzwjN>; ე. კ.-ს 2022 წლის 4 თებერვლის ინტერვიუ <https://bit.ly/3O2JRXb>; ე. კ.-ს შემაჯამებელი სიტყვა, 2022 წლის 5 თებერვალი <https://bit.ly/3MoHahh>; 2022 წლის 4 თებერვლის სიუჟეტი <https://bit.ly/3xdW7gD>; 2022 წლის 8 თებერვლის გადაცემა <https://bit.ly/3NtmINF>; ე. კ.-ს 2022 წლის 31 იანვრის ინტერვიუ <https://bit.ly/3mjkd4D>; 2022 წლის 24 იანვრის სიუჟეტი <https://bit.ly/3ziOIGb>; ე. კ.-ს 2022 წლის 21 იანვრის ინტერვიუ <https://bit.ly/3tk2HRy>; 2022 წლის 4 თებერვლის სტატია <https://bit.ly/3NOefnY>; 2022 წლის 10 თებერვლის სტატია <https://bit.ly/38UzEgk>; 2022 წლის 11 თებერვლის სტატია <https://bit.ly/3tjFxL4>; 2022 წლის 11 თებერვლის სტატია <https://bit.ly/3Mue2VQ>; 2022 წლის 8 მარტის სტატია <https://bit.ly/3NWD55X>; <https://bit.ly/3Nt4Nqm>; 2022 წლის 12 თებერვლის სტატია <https://bit.ly/395oW72>;

³ <https://cutt.ly/SJJZxOK>

⁴ <https://cutt.ly/4JJZg5K>

⁵ <https://cutt.ly/bJJZpdK>

⁶ ნ. ხ.-ს 2022 წლის 28 იანვრის ფეისბუქ პოსტი <https://cutt.ly/yJJSn1W>

⁷ ნ. ხ.-ს 2022 წლის 21 მარტის ელექტრონული წერილი ნ. ა.-ს; ელექტრონულ წერილში აღნიშნულია „თუ ჩვენი დაშვება მუზეუმში არის მიუღებელი, ისეთი ადამიანები მოვლენ, ვინც შეძლებს პროექტისთვის აუცილებელი საქმიანობის ჩატარებას უშუალოდ კოლეჯიდან - ფოტოგრაფი, რესტავრატორები, დ. ნ. ნ. მ. ჩამოგვაშორეთ ყველაფერს, რაც ჩვენი ცხოვრების საქმეს წარმოადგენდა. იქნებ, არ მიიღოთ ყოვლად უსამართლო გადაწყვეტილება და მოგვცეთ პროექტის განხორციელების ლეგიტიმური შესაძლებლობა.“

განმცხადებლებმა ასევე წარმოადგინეს დ. ნ.-ს ფეისბუქ პოსტები, რომლებშიც, ნათლად ჩანს მისი უარყოფითი დამოკიდებულება მუზეუმში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.⁸

განმცხადებლები განმარტავენ რომ სხვა კოლეგებთან ერთად ხელი აქვთ მოწერილი 2021 წლის აგვისტოსა და დეკემბერის თვეებში მომზადებული პეტიციებისთვის, რომლებიც ხელოვნების მუზეუმის ირგვლივ არსებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს უკავშირდებოდა.⁹

განმცხადებლები გამოყოფენ მოვლენათა განვითარების შემდეგ ქრონოლოგიას:

1. **2022 წლის 28 იანვარს**, სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაქვეყნა ფუნდამენტური კვლევების კონკურსში გამარჯვებული პროექტების ჩამონათვალი. მათ შორის, 13 გამარჯვებული პროექტის წარმდგენი არის საქართველოს ეროვნული მუზეუმი. გამარჯვებულ პროექტებს შორის არის განმცხადებლების ერთობლივი პროექტი - „საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის XVIII-XIX საუკუნის ქართული დაზგური პორტრეტული მხატვრობის კოლექციის ინტეგრირებული კვლევა“.
2. **2022 წლის 29 იანვარს**, ე. კ.-მ გამარჯვებული პროექტების, მათ შორის, მათ მიერ მოპოვებული დაფინანსების შესახებ სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გამოაქვეყნა პოსტი¹⁰, რომელშიც აღნიშნა, რომ პროექტის უკან იდგა გუნდი, რომელიც, თეა წულუკიანის ინიციატივით, მუზეუმიდან გაათავისუფლეს, ხოლო ნაწილმა საკუთარი ინიციატივით დატოვა ხელოვნების მუზეუმი.
3. **2022 წლის 1 თებერვალს**, საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრმა ცვლილებები შეიტანა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 18 ივნისის N110/ნ ბრძანებაში.¹¹ ცვლილებების შესაბამისად, ბრძანების მე-5 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი: „*მუზეუმთა გაერთიანებაში შემავალი ნებისმიერი მუზეუმის/მეზეუმთა ჯგუფის სამუზეუმო ფონდში, კვლევითი საქმიანობის მიზნებისთვის, დაინტერესებული პირის, მათ შორის, მუზეუმთა გაერთიანებაში დასაქმებული თანამშრომლის, დაშვება შესაძლებელია მხოლოდ დირექტორატის გადაწყვეტილებით. დირექტორატის გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს სამინისტროს.*“ ასევე, ბრძანების მე-3 მუხლს დაემატა შემდეგი ქვეპუნქტი: *დირექტორატი იღებს გადაწყვეტილებას ეროვნული მუზეუმისა და მის მუზეუმთა*

⁸ 2021 წლის 30 ივლისის სტატუსი <https://cutt.ly/ZJA86Uv>; 2021 წლის 11 აგვისტოს სტატუსი <https://cutt.ly/eJA34it>; 2021 წლის 3 სექტემბრის სტატუსი <https://cutt.ly/1JA8ZHE>; 2021 წლის 14 ნოემბრის სტატუსი <https://cutt.ly/xJA8dDL>; 2022 წლის 10 თებერვლის სტატუსი <https://cutt.ly/ijA8Ok0>; 2022 წლის 6 მაისის სტატუსი <https://cutt.ly/rJA4jFi>

⁹ <https://bit.ly/3O13cbg>; ხელოვნების მუზეუმის მხარდამჭერი აქციის მონაწილეთა ერთობლივი განცხადების ხელმოწერთა სია: <https://cutt.ly/rLAKdNJ> 5. ბ. N-151; დ. ვ. N-222; ე. კ. N-319; დ. ბ. N-424 <https://cutt.ly/VLAKPIj>; 2021 წლის დეკემბრის პეტიციის ხელმოწერები ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/uLAKNuy> დ. ვ. N- 660; 5. ბ. N- 79; ე. კ. N- 3; დ. ბ. N- 8

¹⁰ ე. კ.-ს 2022 წლის 29 იანვრის ფეისბუქპოსტი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/profile.php?id=100006262726986>

¹¹ შენიშვნა: დამატებით იხ. <https://www.matsne.gov.ge/document/view/5373762?publication=0>

გაერთიანებაში შემავალი მუზეუმების/მუზეუმთა ჯგუფების მიერ გრანტის გამცემისადმი (დონორისადმი) მიმართვის, გრანტის თანხის გამოთხოვის/ჩარიცხვის ან გრანტის განკარგავსთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ“.

4. **2022 წლის 7 თებერვალს** ჩატარდა სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის რიგგარეშე სხდომა. განსახილველ საკითხთა შორის იყოს გამარჯვებული 13 პროექტის საკითხი. დირექტორატმა ხმათა უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება რუსთაველის ფონდისთვის მიემართათ 13 გამარჯვებული პროექტის გამოთხოვის თაობაზე. აღნიშნულის მიზეზად დასახელდა პროექტის წარდგენისას პროცედურული დარღვევები.¹² თუმცა, განმცხადებლების განმარტებით, აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილება მიღებულია კანონმდებლობის სრული დაცვით, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც დირექტორატი არ იყო ჩამოყალიბებული.
5. **2022 წლის 9 თებერვალს**, დირექტორატის წევრმა - ნ. ა.-მა წერილობით მიმართა რუსთაველის ფონდს, 13 გამარჯვებული პროექტისათვის თანხის გამოთხოვის მიზანშეუწონლობის შესახებ, რითიც შეჩერდა სამეცნიერო პროექტების, მათ შორის, განმცხადებლების გამარჯვებული პროექტის განხორციელება.

განმცხადებლები აჯამებენ თავის პოზიციებს და მიუთითებენ, რომ მას შემდეგ, რაც საჯაროდ ცნობილი გახდა, რომ პროექტმა მიიღო რუსთაველის ფონდის დაფინანსება, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა ცვლილებები შეიტანა ეროვნული მუზეუმის დებულებაში, რომლითაც დირექტორატს მიენიჭა უფლებამოსილება, დაფინანსებული პროექტების შესახებ მიმართოს დამფინანსებელს და მოითხოვოს საგრანტო თანხა. დირექტორატს ასევე მიენიჭა უფლება, თავად განსაზღვროს, დაუშვებს თუ არა მუზეუმში მკვლევარს, კვლევითი პროექტის განხორციელების მიზნით. აღსანიშნავია, რომ დირექტორატს არ აქვს არავითარი კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მსგავსი გადაწყვეტილება მიიღება.

სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა ინფორმაცია, რომ ეროვნული მუზეუმის ფეისბუქ გვერდზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად¹³, 12 სამეცნიერო პროექტის დასაფინანსებლად შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდთან ხელშეკრულებები გაფორმდა. ამასთან, „მუზეუმის სამეცნიერო საბჭომ ხმათა უმრავლესობით, ხოლო დირექტორატმა -

¹² **შენიშვნა:** 2022 წლის 7 თებერვლის სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის რიგგარეშე სხდომის N2 ოქმის, თანახმად, მუზეუმთა ჯგუფის დირექტორი ნ. ა. განმარტავს, რომ გენერალურმა დირექტორმა - დ. ლ.-მ, დირექტორატის გვერდის ავლით, გააგზავნა რუსთაველის სამეცნიერო ფონდში პროექტები დასაფინანსებლად, რაც ეროვნული მუზეუმის დებულებას ეწინააღმდეგება; დ. ლ.-მ კი განმარტა, რომ გრანტის მოთხოვნა გაიგზავნა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დირექტორატი არ არსებობდა; საბოლოოდ, დირექტორატის წევრებმა დ. ლ.-ს გარდა, მხარი დაუჭირეს არ გაგზავნილიყო მიმართვა 13 გრანტის გამოთხოვის თაობაზე; ამას გარდა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2021 წლის 12 მარტის სხდომის N6 ოქმში აღნიშნულია, რომ 2021 წლის ფუნდამენტური კვლევებისთვის ეროვნული მუზეუმი გეგმავდა სხვადასხვა, (მათ შორის, განმცხადებელთა კვლევა) საპროექტო წინადადების მომზადებას; ოქმში ასევე მითითებულია, რომ დასახელებული პროექტები ითვალისწინებს ფონდებში დაცული მასალის და დოკუმენტაციის კვლევას და ყველა ეს პროექტი იმ ფუნდამენტური კვლევების ნაწილია, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში უკვე წლების მანძილზე მიმდინარეობს; შედეგად, გაერთიანებულმა საბჭომ განმცხადებელთა კვლევა შეაფასა დადებითად და დადგინდა მისი გამოცემის აუცილებლობა;

¹³ იხ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის 28 მარტის განცხადება <https://bit.ly/3aL3owT>

ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება შემდეგი სამეცნიერო პროექტის დაფინანსებაზე **უარის თქმის შესახებ**: „ხელოვნების მუზეუმის XVIII-XIX საუკუნეების ქართული დაზგური პორტრეტული მხატვრობის კოლექციის ინტეგრირებული კვლევა, პროექტის ხელმძღვანელი - ნ. ბ.“.

2022 წლის 21 ივლისს განმცხადებლებმა სახალხო დამცველის აპარატს დამატებით მიაწოდეს ინფორმაცია, რომ იგეგმება გიგო გაბაშვილის საიუბილეო გამოფენის მოწყობა და კოლექცია რომლის საფუძველზეც საიუბილეო გამოფენა უნდა მომზადდეს, ინახება სწორედ იმ ფონდებში, რომლებშიც განმცხადებლებს უნდა ემუშავათ პროექტის განხორციელების შემთხვევაში. განმცხადებლები მიუთითებენ, რომ მოგებული პროექტის განხორციელებაზე უარი ითქვა სრულიად უსაფუძვლო არგუმენტით, რომ ხელოვნების მუზეუმში მიმდინარეობს რემონტი და ვერ მოხდება პროექტის განხორციელება. თუმცა, რემონტი მხოლოდ საბაზი იყო პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის, რადგან თუ სარემონტო სამუშაოების გამო განმცხადებლებს უარი უთხრეს, მაშინ ვერც გამოფენის მოსაწყობად უნდა იყოს შესაძლებელი შესაბამის ფონდებში ვინმეს მუშაობა.¹⁴

2. შესაბამისი უწყებების პასუხები

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრისგან და სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატისგან სახალხო დამცველის აპარატს გამოთხოვილი ინფორმაცია არ მიუღია. კერძოდ, სამინისტროს და დირექტორატს არ წარმოუდგენია ინფორმაცია რა ფაქტობრივმა და სამართლებრივმა საფუძველებმა გამოიწვიეს 2022 წლის 1 თებერვალს, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 18 ივნისის N110/ნ ბრძანებაში ცვლილებების დამატება; ცვლილებებამდე შესაძლებელი იყო თუ არა გამარჯვებული პროექტის გამოთხოვა და ვინ იყო უფლებამოსილი პროექტის გამოთხოვის პროცედურის ინიცირებაზე; რატომ მიიღეს გადაწყვეტილება 13 გამარჯვებული პროექტის გამოთხოვის თაობაზე; რატომ არ იქნა მიღებული დადებითი გადაწყვეტილება სამეცნიერო პროექტის „ხელოვნების მუზეუმის XVIII-XIX საუკუნეების ქართული დაზგური პორტრეტული მხატვრობის კოლექციის ინტეგრირებული კვლევა“ დაფინანსების შესახებ; 13 პროექტის თაობაზე დადებითი/უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას რომელი კრიტერიუმები/გარემოებები/ფაქტორები მიიღებოდა მხედველობაში ეროვნული მუზეუმის დირექტორატის ან/და მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს მხრიდან; სამეცნიერო საბჭოს 2022 წლის 11 მარტის სხდომის ოქმი; ამასთან, მოპასუხეებმა არ წარმოადგინეს მათი პოზიცია განმცხადებლების შესაძლო დისკრიმინაციასთან დაკავშირებით.

ერთადერთი უწყება, რომელმაც გამოთხოვილი ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდია.

¹⁴ იხ. ბმული <https://bit.ly/3Tqtmay>

2.1 სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის 2022 წლის 11 მარტის პასუხის თანახმად, ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში პროექტი „საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის XVIII-XIX საუკუნის ქართული დაზგური პორტრეტული მხატვრობის კოლექციის ინტეგრირებული კვლევა“ დარეგისტრირდა 2021 წლის 19 მაისს, 22:28:59 სთ-ზე ნ. ხ.-ს მიერ, ხოლო ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების შემოსვლის დროა 2021 წლის 31 მაისი 15:01 საათი. პროექტის წარმდგენი არიან საქართველოს ეროვნული მუზეუმი, როგორც წამყვანი ორგანიზაცია და პროექტის ძირითადი პერსონალი: ნ. ხ. - პროექტის ხელმძღვანელი; დ. ვ. - კოორდინატორი; ე. კ. - მკვლევარი; დ. ნ. - მკვლევარი; ქ. ნ. - მკვლევარი.

წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N84 დადგენილების „ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ შესაბამისად გრანტის მიმღები არის კონკურსში გამოვლენილი გამარჯვებული, დასაფინანსებლად დამტკიცებული პროექტის წამყვანი ორგანიზაცია, თანამონაწილე ორგანიზაცია და ძირითადი პერსონალი. ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა მიიღო გადაწყვეტილება და გამარჯვებულად გამოავლინა აღნიშნული პროექტი. სხვა გადაწყვეტილება ფონდს არ მიუღია.

პროექტის გამარჯვების შემდეგ, მოპოვებული დაფინანსების მისაღებად საჭიროა თუ არა დამატებით კონკრეტული პირის ან/და უწყების მიმართვა, ფონდმა განმარტა, რომ გამარჯვების შემდეგ „2021 წლის ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2021 წლის 12 აპრილის N33 ბრძანებით დამტკიცებული დანართის ერთის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები - ამ პროექტისთვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

პასუხის თანახმად, დამატებით, საჭიროა, გრანტის მიმღები მხარეების თანხმობა პროექტის განხორციელებაზე. შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე, ფონდი ელოდება გრანტის მიმღებისგან ერთიან გადაწყვეტილებას. ამასთან, გვეცნობა, რომ პროექტის მიმდინარე სტატუსია „კონკურსში გამარჯვებული“.

3. სამართლებრივი შეფასება

3.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი (კონსტიტუციის ახალი რედაქციით) წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.¹⁵

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ*, არ არსებობს *კანონით განსაზღვრული მიზანი*, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება* და იგი *დასახული მიზნის არათანაზომიერია*.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ*. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას *არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება*, ე. ი. *არ ისახავს*

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493, II,1

კანონიერ მიზანს და არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.¹⁶

3.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებლებს

3.2.1. პიროვნების თავისუფალი განვითარების და პირადი ცხოვრების უფლება

დისკრიმინაციის ფაქტის შეფასებისას, თავდაპირველად, საჭიროა განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომლით სარგებლობისას შესაძლოა პირს ხელი შეშლოდა.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, „პირველ რიგში, გულისხმობს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლებას. სწორედ პიროვნულობა განსაზღვრავს ადამიანის არსს, მიუთითებს მის ინდივიდუალურ და სხვებისგან განმასხვავებელ მახასიათებლებზე“.¹⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პიროვნების მოქმედების ზოგად თავისუფლებას.¹⁹ პირის ნებისმიერი მოქმედება და საქმიანობა, რომელიც არ მიეკუთვნება მისი პირადი ცხოვრების სფეროს და არ ხვდება ზოგადი პიროვნული უფლებით დაცულ სფეროში, დაცულია საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით, რომელიც ერთნაირად იცავს აქტიურ და პასიურ მოქალაქეებს. ის არის ყოველი ადამიანის კერძო ინიციატივისა და საქმიანობის წამოწყების საფუძველი.²⁰

ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი პროგრესი, თითოეული ადამიანის პიროვნული ბედნიერება. ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარება უზრუნველყოფს მისი ნიჭის, პიროვნული შესაძლებლობებისა და უნარის განვითარებას და, ამ თვალსაზრისით, იგი ადამიანის ღირსების უფლების განუყოფელი ნაწილია. შესაძლებლობების განვითარებით, ცოდნის მიღებით, გარესამყაროსთან მისი ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება ადამიანი თავისუფალ პიროვნებად, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა.²¹

¹⁶ ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, § 60

¹⁷ საქართველოს კონსტიტუცია, მე-12 მუხლი (1995)

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/536, II, § 54

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/536, II, 55;

²⁰ ვ. კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2017, გვ. 89-90;

²¹ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013 წ. გვ. 88

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით კი დაცულია ადამიანის პირადი ცხოვრების უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის მიუთითა, რომ პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს პროფესიული და კომერციული აქტივობების განხორციელების უფლებასაც. ძალზე შეზღუდული იქნებოდა [პირადი ცხოვრების] ცნების „შიდა წრით“ შემოფარგვლა, რომელშიც ინდივიდს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი სურვილისამებრ არჩეული თავისი ცხოვრება და მისგან გამორიცხავდეს გარე სამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას. ამასთან, არანაირი პრინციპული მიზეზი არ არსებობს, რომ „პირადი ცხოვრებიდან“ გამოირიცხოს პროფესიული თუ კომერციული აქტივობები. ადამიანთა უმრავლესობას გარესსამყაროსთან ურთიერთობის დამყარების მაქსიმალური შესაძლებლობა სწორედ მუშაობის დროს აქვს.²²

შესაბამისად, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რომელიც პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიაა, არ შემოიფარგლება მხოლოდ „შიდა წრით“, არამედ მოიცავს გარე სამყაროს ჩართულობას ამ სფეროში, კერძოდ, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას.

გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობების და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე. მე-20 მუხლის თანახმად, კი შემოქმედების თავისუფლება დაცულია და შემოქმედებით საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე. კულტურული მემკვიდრეობა დაცულია კანონით.

ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N84 დადგენილების თანახმად,²³ ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზანია ახალი ცოდნის შექმნა, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიული და ექსპერიმენტული შესწავლა-ანალიზი. დასაფინანსებელ კვლევას არ მოეთხოვება უშუალო კომერციული სარგებლიანობა, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა წარმოადგენდეს სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან/და ტექნიკური პროგრესის საფუძველს. ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი ხელს უწყობს კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნას, გამორჩეული ხარისხის კვლევების განვითარებას, კვლევების მიახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან და ინტერნაციონალიზაციას, კვლევის პროცესის ინტეგრაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროცესში და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო პოტენციალის ზრდას მათი ჩართვით კვლევაში.

²² ECtHR, Niemietz v. Germany, no. 13710/88, 16/12/1992, § 29

²³ <https://rustaveli.org.ge/res/docs/fac2f809dc450e2d5ca00eddc82df4fbb521b876.pdf>

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლების პროექტმა - „საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის XVIII-XIX საუკუნის ქართული დაზგური პორტრეტული მხატვრობის კოლექციის ინტეგრირებული კვლევა“ გაიმარჯვა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების კონკურსში, თუმცა, ეროვნული მუზეუმის დირექტორატმა მიზანშეუწონლად ჩათვალა გამარჯვებული პროექტისთვის თანხის გამოთხოვა, რის შედეგადაც განმცხადებლებს ხელი შეეშალათ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ამდენად, თანხის გამოთხოვაზე უარმა გამოიწვია განმცხადებლების პიროვნების თავისუფალი განვითარების და პირადი ცხოვრების უფლებებში ჩარევა.

განხილვის შემდეგ ეტაპებზე, სახალხო დამცველი შეაფასებს შესაძარებელი პირების არსებობის საკითხს, უფლებებში ჩარევის ლეგიტიმური მიზანს და მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალების თანაზომიერებას.

3.3. კომპარატორი-შესადარებელი სუბიექტი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.²⁴ ამასთან, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის შემთხვევაში განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.²⁵

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლები, ყველა იმ 12 სამეცნიერო პროექტის მონაწილე პირთან მიმართებით იმყოფებიან არახელსაყრელ მდგომარეობაში, რომლებთან მიმართებითაც ეროვნული მუზეუმის დირექტორატმა მიიღო გადაწყვეტილება დასაფინანსებლად მიემართა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდისთვის; ასევე განმცხადებლები უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფებიან ყველა იმ პირთან მიმართებით, რომლებიც ეროვნულ მუზეუმში აგრძელებენ მუშაობას და ამავდროულად, ლოიალურ დამოკიდებულებას ინარჩუნებენ ეროვნულ მუზეუმში მიმდინარე პროცესების მიმართ.

3.4. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II, 19;

²⁵ ECtHR, D.H. and Others v. the Czech Republic [GC], no. 57325/00, 13/11/2007, § 175;

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და გამოყენებული საშუალება დასახული მიზნის თანაზომიერია. უფლების შეზღუდვის გასამართლებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს ლეგიტიმური მიზანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია“.²⁶

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს და სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის წევრებს არ წარმოუდგენიათ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: 1) რა ფაქტობრივმა და სამართლებრივმა საფუძველმა გამოიწვიეს 2022 წლის 1 თებერვალს, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 18 ივნისის N110/ნ ბრძანებაში ცვლილებების დამატება; 2) ცვლილებებამდე შესაძლებელი იყო თუ არა გამარჯვებული პროექტის გამოთხოვა და ვინ იყო უფლებამოსილი პროექტის გამოთხოვის პროცედურის ინიცირებაზე; 3) რატომ მიიღეს გადაწყვეტილება 13 გამარჯვებული პროექტის გამოთხოვის თაობაზე; 4) რატომ არ იქნა მიღებული დადებითი გადაწყვეტილება სამეცნიერო პროექტის „ხელოვნების მუზეუმის XVIII-XIX საუკუნეების ქართული დაზგური პორტრეტული მხატვრობის კოლექციის ინტეგრირებული კვლევა“ დაფინანსების შესახებ; 5) 13 პროექტის თაობაზე დადებითი/უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას რომელი კრიტერიუმები/გარემოებები/ფაქტორები მიიღებოდა მხედველობაში ეროვნული მუზეუმის დირექტორატის ან/და მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს მხრიდან; 6) სამეცნიერო საბჭოს 2022 წლის 11 მარტის სხდომის ოქმი; 7) ამასთან, მოპასუხებმა არ წარმოადგინეს მათი პოზიცია განმცხადებლების შესაძლო დისკრიმინაციასთან დაკავშირებით.

ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, მოპასუხეებს - საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს და სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის წევრებს არ წარმოუდგენიათ ინფორმაცია თუ რატომ არ იქნა მიღებული დადებითი გადაწყვეტილება სამეცნიერო პროექტის „ხელოვნების მუზეუმის XVIII-XIX საუკუნეების ქართული დაზგური პორტრეტული მხატვრობის კოლექციის ინტეგრირებული კვლევა“ დაფინანსების თაობაზე და რა ფაქტობრივმა და სამართლებრივმა საფუძველმა გამოიწვიეს 2022 წლის 1 თებერვალს, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 18 ივნისის N110/ნ ბრძანებაში ცვლილებების დამატება; სამწუხაროდ, მოპასუხეებს არც კი

²⁶დამატებით იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება; №1/5/1271 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N3/1/531, II, 15.

უცდიათ დაესახელებინათ ლეგიტიმური მიზანი, რომელიც განსხვავებულ მოპყრობას გაამართლებდა და სახალხო დამცველს მისცემდა შესაძლებლობას ემსჯელა ლეგიტიმური მიზნისა და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლების დასაბუთებულობის საკითხზე. შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს; მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას.²⁷

განსახილველ საქმეში, მოპასუხეებმა არ წარმოადგინეს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე წარმოშობილ დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდს გააქარწყლებდა. საგულისხმოა, რომ დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევებთან მიმართებით კანონმდებლობა ექსპლიციტურად განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება ლეგიტიმური მიზნის წარმოდგენის და განსხვავების პროპორციულობის მტკიცების ტვირთი. ამდენად, სავარაუდო დისკრიმინაციის ჩამდენმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი მხრიდან დისკრიმინაციას ადგილი არ ჰქონია.

საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე სახალხო დამცველს წარმოეშვა დისკრიმინაციის ვარაუდი, რის შემდგომაც მოპასუხეებზე გადავიდა ტვირთი, რომ წარმოედგინათ დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდის გამაქარწყლებელი არგუმენტები და მტკიცებულებები. რამდენადაც, განმცხადებლის მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის დისკრიმინაციის ფაქტის დასადასტურებლად წარმოდგენილი ფაქტების უარყოფის მიზნით, მოპასუხეებს გამოთხოვილი ინფორმაცია/მტკიცებულებები/არგუმენტები არ წარმოუდგენიათ, სახალხო დამცველი გადაწყვეტილების მიზნებისთვის მხოლოდ განმცხადებლის პოზიციით და მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით იხელმძღვანელებს.

უდავოა, რომ 2022 წლის 28 იანვარს, განმცხადებლების კვლევამ მოიპოვა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსება და გაიმარჯვა ფუნდამენტური კვლევების კონკურსში. ამის საპასუხოდ, ძალიან მალევე 2022 წლის 1 თებერვალს (4 დღეში), მინისტრმა ცვლილებები შეიტანა ეროვნული მუზეუმის დებულებაში, რომლის თანახმადაც ერთის მხრივ,

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493, II, 3

დირექტორატი განსაზღვრავს დაუშვებს თუ არა მუზეუმის ფონდებში მკვლევარს, მეორეს მხრივ, კი დირექტორატს მიენიჭა უფლებამოსილება დაფინანსებული პროექტების შესახებ მიმართოს დამფინანსებელს და მოითხოვოს საგრანტო თანხა.²⁸ სახალხო დამცველის შეფასებით, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა კონკურსში განმცხადებელთა პროექტის გამარჯვების შესახებ, მინისტრმა ეროვნული მუზეუმის დებულებაში შესული ცვლილებების გზით შექმნა განმცხადებელთა კვლევითი პროექტიდან ჩამოშორების მექანიზმი, ხოლო დირექტორატმა ადასრულა დისკრიმინაციული განზრახვა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განხორციელებული ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მინისტრს არ სურდა განმცხადებლების პროექტს დაფინანსება მიეღო და შემუშავდა იმდაგვარი საკანონმდებლო რეალობა, რომელმაც დირექტორატს მიანიჭა როგორც საგრანტო თანხის გამოთხოვის, ასევე მუზეუმის ფონდებში მკვლევარების დაშვების უფლებამოსილება. ასეთი დამოკიდებულება არ მიანიშნებს უწყების მიუკერძოებელ და კეთილსინდისიერ მოქმედებაზე და წარმოაჩენს მათ თვითმიზანს, ხელი შეშლოდა განმცხადებლების სამეცნიერო საქმიანობას და არ შესძლებოდათ გამარჯვებული პროექტის განხორციელება.

დამატებით, ცალსახაა, რომ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ 28 მარტს გავრცელებული ინფორმაციით²⁹, გამარჯვებული 13 პროექტიდან 12 სამეცნიერო პროექტის დასაფინანსებლად შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდთან ხელშეკრულებები გაფორმდა და მხოლოდ განმცხადებელთა პროექტს ეთქვა დაფინანსებაზე უარი, რაც თავისთავად წარმოადგენს უთანასწორო მოპყრობას და საჭიროებს განსხვავებული მოპყრობის სერიოზულ დასაბუთებას. საგულისხმოა, რომ მოპასუხემ არ განმარტა, 13 პროექტის თაობაზე დადებითი/უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას რომელი კრიტერიუმები/გარემოებები/ფაქტორები მიიღებოდა მხედველობაში ეროვნული მუზეუმის დირექტორატის ან/და მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს მხრიდან; ასევე არ წარმოადგინა ინფორმაცია რატომ არ მიიღო თანხის გამოთხოვის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილება განმცხადებელთა პროექტთან მიმართებით; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან.³⁰ თანასწორობის იდეა ემსახურება ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობის გარანტირებას.³¹

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ბოლო პერიოდში კულტურის სფეროში არსებულ პრობლემურ გარემოზე. ბოლო პერიოდის განმავლობაში კულტურის სფეროს გარშემო მიმდინარე მოვლენები საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობას

²⁸ იხ. მე-11 სქოლიო

²⁹ იხ. მე-13 სქოლიო

³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N 1/1/539, II, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II, 3.

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II, 1.

დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლებისა და სამოქალაქო საზოგადოების გარკვეულ ნაწილში კითხვის ნიშნებს აჩენს სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა შრომითი უფლებებისა და თანასწორობის პრინციპის სათანადო უზრუნველყოფის, აგრეთვე ცენზურის დაწესების მცდელობის საკითხებთან დაკავშირებით. საჯარო განხილვის საგნად ქცეულ შემთხვევათა შორისაა: 2021 წლის მარტში საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან რეორგანიზაციის საფუძველით 70 თანამშრომლის გათავისუფლება;³² ხელოვნების მუზეუმიდან შუა საუკუნეების მიმართულელების მთავარი კურატორის ნ. ბ.-ს, კურატორის ნ. ჩ.-ს, ახალი ქართული ხელოვნების ფონდების მცველის ნ. ხ. და ხელოვნებათმცოდნე მ. [მ] მ.-ს გათავისუფლება;³³ კინოცენტრის დირექტორის გ. ჩ.-ს თანამდებობიდან გათავისუფლება;³⁴ 2022 წლის 1 ივნისიდან ეროვნული მუზეუმიდან 21 თანამშრომლის (მათ შორის, ხელოვნებათმცოდნეების, არქეოლოგების, ექსპერტ-მეცნიერების სტატუსით დასაქმებული ასაკოვანი მეცნიერების) გათავისუფლება;³⁵ ლიტერატურულ კონკურს „ლიტერას“ ჟიურის წევრად სამინისტროს წარმომადგენლის დანიშვნა, რაც კონკურსში მონაწილე მწერლებმა მწერლობაზე „პარტიული კონტროლის დაწესებად“ შეაფასეს;³⁶

გარდა ამისა, აღნიშნული საქმის შეფასების კონტექსტში საგულისხმოა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, რომ *წელს (იგულისხმება 2021 წელი) განსაკუთრებული სიმწვავეთ დადგა, შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის შენობასა და მასში დაცულ კოლექციებთან დაკავშირებული საკითხები. საანგარიშო წელს საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ირგვლივ განვითარებული პროცესები, რომელიც, ერთი მხრივ, უშუალოდ უკავშირდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საჯარო ინტერესს, მეორე მხრივ კი, მუზეუმში დასაქმებულ პირთა უფლებებს ეხება. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს - უზრუნველყოს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისათვის, ამასთანავე, კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართოს დარგის კვალიფიციური ექსპერტები და დაინტერესებული საზოგადოება;*³⁷

სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს 2022 წლის 7 თებერვლის სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის რიგგარეშე სხდომის N2 ოქმზე, რომლის თანახმად, პროექტები რუსთაველის სამეცნიერო ფონდში პროცედურული

³² ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/469845>

³³ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/life/586613/>; <https://rb.gy/xdq3we>

³⁴ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/lmbqso>; <https://rb.gy/ktjiph>; <https://rb.gy/vwmano>

³⁵ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/7319by>

³⁶ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/435314>

³⁷ საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში გვ. 247, 250, 252 <https://cutt.ly/xLDFJYA>

დარღვევით გაიგზავნა; საქმის მასალებით დგინდება, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს 2021 წლის 12 მარტის სხდომის N06 ოქმით, როდესაც დადგინდა განმცხადებელთა კვლევის გამოცემის აუცილებლობა, ჯერ კიდევ არ არსებობდა დირექტორთა საბჭო *ნ. ა. 2022 წლის 7 თებერვლის რიგგარეშე სხდომის ოქმში N2 თავად განმარტავს, რომ დირექტორატი შეიქმნა 2021 წლის 19 აპრილს და მისი სამი წევრი იყო სახეზე: დ. ლ.; ნ. ა. ხელოვნების მუზეუმში სამინისტროს რწმუნებულად დაინიშნა 2021 წლის 21 აპრილს, ხოლო მუზეუმის დირექტორად 2021 წლის 24 მაისს; ნ. ჯ. კი დირექტორად დაინიშნა 2021 წლის 28 მაისს*; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პასუხის თანახმად, 2021 წლის 19 მაისს გრანტების მართვის ერთიან სისტემაში დარეგისტრირდა განმცხადებელთა კვლევა. აღსანიშნავია, რომ დირექტორატი 5 წევრისგან შედგება, 2021 წლის 19 მაისისთვის (გრანტების ერთიან სისტემაში დარეგისტრირებისას) კი დირექტორატის შემადგენლობაში მხოლოდ ორი წევრი იყო: დ. ლ. და ნ. ა., რომელიც მართალია სამინისტროს რწმუნებული იყო, თუმცა, დირექტორად მხოლოდ 24 მაისს დაინიშნა; ამ პირობებში, არ იკვეთება, რომ 19 მაისს, როდესაც განმცხადებლებმა მათი კვლევა ატვირთეს გრანტების მართვის ერთიან სისტემაში ახალი დირექტორატი მოქმედებდა; სახალხო დამცველი იზიარებს, განმცხადებელთა პოზიციას, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დირექტორატი ჩათვლიდა, რომ თანხის გამოთხოვის თაობაზე გაგზავნილი წერილი არღვევდა დებულებაში შესულ ცვლილებებს მისი გამოსწორება შესაძლებელი იყო ისე, რომ არ დარღვეულიყო განმცხადებელთა ფუნდამენტური უფლებები განეხორციელებინათ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა.

ამასთან, სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ განმცხადებლების მიერ გამარჯვებული პროექტის განხორციელება/გრანტის გამოთხოვა სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და განმცხადებლებს შორის შრომითი ურთიერთობის არსებობა/არარსებობასთან დაკავშირებული არ იყო; კერძოდ, პროექტთან დაკავშირებული კონკურსის ჩატარების წესი და პროცედურები განსაზღვრულია შემდეგი აქტებით: „ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N84 დადგენილება და „2021 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 12 აპრილის N33 ბრძანება; ამათგან, არც ერთ ნორმაში არ არის მითითება, რომ ძირითადი პერსონალი ან პროექტის ხელმძღვანელი უნდა იყოს განმცხადებელი ორგანიზაციის თანამშრომლები.

ამასთან, განმცხადებლების ინფორმაციით, წინა წლებში სსიპ ეროვნულ მუზეუმში ბევრი ორგანიზაცია თუ მკვლევარი ახორციელებდა საგრანტო პროექტებს ისე, რომ ისინი არ ყოფილან ეროვნული მუზეუმის თანამშრომლები. ამჟამადაც, როგორც განმცხადებლებისთვის ცნობილია, ეროვნულ მუზეუმში პროექტს ახორციელებს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი.

დამატებით, 12 პროექტის პერსონალიდან ნაწილი, რომელთა გრანტების მიღებაზე ეროვნულმა მუზეუმმა თანხმობა განაცხადა, პროექტების გამარჯვების დროს არ იყო ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი. მაგალითისთვის, თ. ჯ., რომელიც არის ერთ-ერთი

გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელი და რომლის პროექტისთვის განკუთვნილი გრანტიც ეროვნულმა მუზეუმმა გამოითხოვა, არ ყოფილა ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი და არც ახლაა შრომით ურთიერთობაში მუზეუმთან. განმცხადებლების ცნობით, 12 თანხმობამიცემული პროექტების პერსონალიდან ნაწილი ამჟამად უკვე აღარ არის ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი, თუმცა, ისინი კვლავ აგრძელებენ პროექტების განხორციელებას. შესაბამისად, სახალხო დამცველი იზიარებს განმცხადებლების პოზიციას, რომ პროექტების განხორციელება და მათთვის განკუთვნილი გრანტების გამოთხოვა ფონდიდან არ არის დაკავშირებული იმასთან, ეროვნული მუზეუმის სახელით წარდგენილი პროექტის ავტორები და პერსონალი არიან თუ არა შრომით ურთიერთობაში სსიპ ეროვნულ მუზეუმთან. მსგავსი მოთხოვნა არც რომელიმე საკანონმდებლო აქტით ან ფონდის დირექტორის ბრძანებით არ არის გათვალისწინებული და არც პრაქტიკით არ არის დადგენილი. პირიქით, განმცხადებლების ხელთ არსებული ინფორმაციით, ეროვნულ მუზეუმში განხორციელებული პროექტების პერსონალი არ არიან ეროვნული მუზეუმის თანამშრომლები.

3.5. განსხვავებული აზრის გამოხატვა, როგორც დისკრიმინაციისგან დაცული ნიშანი

დისკრიმინაციის ფაქტის არსებობისთვის, აუცილებელია, დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლი/მსხვერპლები იყოს ისეთი ნიშნის მატარებელი, რის გამოც, მას განსხვავებულად ეპყრობიან. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციად ვერ იქნება მიჩნეული, თუკი სავარაუდო მსხვერპლს/მსხვერპლებს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული მახასიათებელი არ აქვს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მე-10 მუხლით უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები. აღნიშნული დათქმიდან გამონაკლისი შეიძლება იყოს მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას და შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი თითოეული წევრის ჩართულობას.³⁹

³⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Ī.A. v. Turkey*, 13.09.2005 პარ. 23

³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება II, პ.26

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებით დაცულ სფეროში ექცევა აზრის, შეხედულებებისა და ინფორმაციის გავრცელება და მიღება ვერბალური, წერილობითი თუ სხვაგვარი არავერბალური ექსპრესიების მეშვეობით, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის, საზოგადოებრივ მოვლენებზე კომენტარების, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ან მსგავს საკითხებზე დისკუსიის გზით.⁴⁰

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს იმ საშუალებებსაც, რომლებიც აზრის, ინფორმაციისა და შეხედულებების გამოთქმის, გავრცელებისა და მიღებისთვის არის აუცილებელი.⁴¹ მსგავს საშუალებებს შორისაა ინტერნეტზე დაფუძნებული გამოხატვის მეთოდები.⁴² ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი ინტერნეტის მნიშვნელობას გამოხატვის თავისუფლების განხორციელების თვალსაზრისით, კერძოდ, მის განსაკუთრებულ როლს ახალ ამბებზე საზოგადოების წვდომის ზრდისა და ზოგადად, ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობის მიმართულებით.⁴³

ამავდროულად, უფლებით დაცულია არა მხოლოდ ის „ინფორმაცია“ და „იდეები“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება, არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ისეთებიც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობის და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.⁴⁴

განმცხადებლებმა არაერთხელ გააკრიტიკეს საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრი - თეა წულუკიანი და ხელოვნების მუზეუმის ახალი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებები. ამასთან, განმცხადებლები - ე. კ., დ. ვ. და ნ. ხ. გათავისუფლდნენ ეროვნული მუზეუმიდან და თავიანთი შრომითი უფლებების დასაცავად სასამართლო დავას აწარმოებენ. დ. ნ.-მ, კი ეროვნულ მუზეუმში არსებული ვითარების გამო, საკუთარი ინიციატივით დატოვა სამსახური. ამასთან, განმცხადებლებს, ხელი აქვთ მოწერილი 2021 წლის აგვისტოსა და დეკემბერში შექმნილ პეტიციებზე, რომელიც ხელოვნების მუზეუმის ირგვლივ არსებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხებოდა.⁴⁵

სახალხო დამცველი გაეცნო განმცხადებლების მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა გადაცემების, სიუჟეტების, სტატიების, ინტერვიუების ბმულებს, ფეისბუქ პოსტებს, ელექტრონულ წერილს, რაც ცალსახად მიუთითებს მათ განსხვავებულ შეხედულებებზე: შესაბამისად,

⁴⁰ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 11. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/3cxa2Sr> > [06.05.2022]; იხ. ასევე, Dominika Bychawska-Siniarska, Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention on Human Rights, A handbook for legal practitioners, Council of Europe, July 2017, p. 17, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/2XOec35> > [06.05.2020]

⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება II.პარ.56

⁴² იქვე. იხ. ასევე, ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 12

⁴³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Ahmet Yildirim v. Turkey*, პარ. 48

⁴⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Handyside v. the United Kingdom*, პარ. 49

⁴⁵ **შენიშვნა:** იხ. მე-2, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10 სქოლიოები

განმცხადებლების სამსახურიდან გათავისუფლება, მათი სასამართლო დავა, პეტიციებზე ხელისმოწერა და სხვადასხვა პერიოდში მოსაზრებების გავრცელება მიანიშნებს, რომ ისინი არ იყვნენ ლოიალურად განწყობილები ეროვნული მუზეუმის ახალი ადმინისტრაციის მიმართ.

განსახილველ შემთხვევაში, მოვლენების განვითარების თანმიმდევრობა ადასტურებს, რომ საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება და შემდგომში გამარჯვებული პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმა განპირობებული იყო მხოლოდ განმცხადებლების მიერ დაფიქსირებული პოზიციებით. შესაბამისად, ფაქტების, მტკიცებულებებისა და სამართლებრივი სტანდარტების შეჯერებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიმართ, მოპასუხეების მხრიდან ადგილი ჰქონდა მათ პირად ცხოვრებასა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევას გამოხატვის თავისუფლებით დაცული აზრის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრს და სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის წევრებს მიმართავს რეკომენდაციით:

- გამარჯვებული პროექტის - „საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის XVIII-XIX საუკუნის ქართული დაზღური პორტრეტული მხატვრობის კოლექციის ინტეგრირებული კვლევა“ დაფინანსების მიღების მოთხოვნით, მიმართოს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს;
- მომავალში არ დაუშვას განსხვავებული მოსაზრების ან/და სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა და საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპის დაცვით, მათ შორის, უზრუნველყოს შიდაორგანიზაციული აქტებისა და პოლიტიკის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,